ჰადისებს ვსწავლობ

# საჩუქარს ვამზადებთ



ერთმანეთს საჩუქრები აჩუქეთ, რათა თქვენი სიყვარული გაძლიერდეს! (ჰადისი შერიფი)

muslim Georgia international charity foundation

გამომცემლობა თიმაში ბავშვები



# ჰადისებს ვსწავლობ

# საჩუქარს ვამზადებთ


ავტორი:
ნურ ქუთლუ
(ბავშვთა განვითარებისა და განათლების დოქტორი)







ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

მხატვარი:
აიშე ქითილი

გამოცემის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირი

მთავარი რედაქტორი:
შებნემ ქანოღლუ

რედაქტორი:
არზუ დემირი

გარეკანი და შიდა დიზაინი:
სეფერ ქოჩაქი

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები





# ახლა ზეინეფისა და თარიქის გაცნობის დროა!

ზეინეფი ბაღში, თარიქი კი პირველ კლასშია. მათ ჩვენი შუამავალი, ხზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ძალიან უყვართ. სახლში ჰადისების ყუთი აქვთ. მათი მშობლები ქაღალდზე ჰადისებს წერენ და შემდეგ ამ ყუთში ათავსებენ.

ჰადისები, ჩვენი შუამავლის ნაბრძანები ლამაზი და აღმზრდელობითი შინაარსის სიტყვებია. ზეინეფი და თარიქი ყოველი კვირის განმავლობაში თითო ჰადისს სწავლობენ. თავდაპირველად "სალლალლაჰუ ღალეიჰი ვესელლემ (ალლაჰის სალათი და სალამი მას)" წარმოთქმით ჩვენს შუამავალს ესალმებიან, შემდეგ ყუთიდან ერთ ჰადისს იღებენ. ჰადისის მნიშვნელობას უფროსებს ეკითხებიან და შემდეგ კი ცდილობენ ჰადისის შესაბამისად მოიქცნენ. ასეთი ქმედებით სურთ ჩვენი შუამავლის მსგავსად, ალლაჰის საყვარელი ადამიანები გახდნენ.







ზეინეფი და თარიქი მოუთმენლად ელოდნენ კვირის გასვლას. საუზმის შემდეგ მისაღები ოთახისკენ წავიდნენ. შევიდნენ და რას ხედავენ; ჰადისების ყუთი არაა თავის ადგილას.

აღელვებულმა ზეინეფმა თქვა:



– სად შეიძლება იყოს ჩვენი ყუთი?



თარიქმა ყუთის ადგილას ისრის ნიშანი შენიშნა, ახლოს მივიდა და წარწერა წაიკითხა:

– ისრები ჰადისის ყუთთან მიგვიყვანთ!




-ასეთი ისრები ყუთთან მიგიყვანთ!
-ასეთი ისრები ყუთთან მიგიყვანთ!

და-ძმა ისრებს ინტერესით მიყვნენ. ისრები სხვენისაკენ მიდიოდა. აღელვებულმა თარიქმა თქვა:

-აქ დედასა და მამას ძველი ნივთებია.

ზეინეფს ეწყინა და უპასუხა:

**-ჰადისი ყუთი ძველ ნივთებში გადაუგდიათ.**



-ასეთი რამე როგორ შეიძლება! ჩემი აზრით აქ რაღაც სიურპრიზი იმალება.

თარიქის ამ სიტყვებმა ზეინეფს ხალისი დაუბრუნა.







ისრის ნიშნები სხვენში, უზარმაზარ სკივრთან დასრულდა. სკივრში ძველი ნივთები და სათამაშოები იყო. და-ძმამ სათამაშოები დაათვალიერეს.

ზეინეფმა თოჯინა აჩვენა და უთხრა:

–ააა! მე ეს თოჯინა მინახავს. დედა, პატარაობაში გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზეა ამ თოჯინაზე ჩახუტებული.

თარიქმა წითელი მანქანა აიღო ხელში და თქვა:

–მე ეს მანქანა ვიცი. მამას ბავშვობაში ძალიან ჰყვარებია. მამა მიყვებოდა მასზე.







თარიქი სკივრის დათვალიერებას
აგრძელებდა, უცებ დაიყვირა:
–ჰადისის ყუთი აქაა!
ყუთი სკივრიდან ამოიღო და კალთაზე
დაიდო. ჰადისის ყუთზე, ზემოდან ქაღალდი
იყო წებოვანი ლენტით მიწებებული. ეს ერთ-ერთი
ჰადისი იყო.



"ერთმანეთს საჩუქრები აჩუქეთ, რათა თქვენი სიყვარული გაძლიერდეს!" –ეწერა ქაღალდზე.

–როგორც ჩანს, კვირის ჰადისი
ვიღაცას ჩვენ მაგივრად ამოუღია –თქვა
ზეინებმა.
–კარგი, ვინ შეიძლება იყოს? –იკითხა
თარიქმა.









ამ დროს ფეხის ხმა მოესმათ. ხმა თანდათან ახლოვდებოდა.

ბავშვები სკივრის უკან დაიმალნენ.

თავდაპირველად ჩრდილები გამოჩნდა.

თარიქსა და ზეინეფს



აღელვებისგან გულმა სწრაფად დაუწყო ცემა. და რას ხედავენ! დედა და მამა ყოფილან. ბატონი მეჰმეთი და ქალბატონი მელექი სკივრთან მივიდნენ და ჰკითხეს:

–ჩვენი საჩუქარი მოგეწონათ?

ბავშვები სიცილით გამოვიდნენ.

–ძალიან მოგვეწონა!









## –კარგი და რა არის ამ სიურპრიზის მიზეზი?

– იკითხა თარიქმა.

–გვინდოდა ჩვენი ძველი სათამაშოები თქვენთვის გვეჩუქებინა, რადგან ჩვენი შუამავალი ბრძანებს: "ერთმანეთს საჩუქრები აჩუქეთ, რათა თქვენი სიყვარული გაძლიერდეს!" –უპასუხა დედამ. მამამ დაამატა:



## –ამ ლამაზი ჰადისის ახსნა სიურპრიზით გადავწყვიტეთ.

კვირის ჰადისის ყუთიდან ამოღების ნაცვლად, ასეთი ხერხი მოვიფიქრეთ.









და-ძმა სიხარულით
დახტოდა და ამბობდა:
-დედიკო, მამიკო!
თქვენ ძალიან,
ძალიან გვიყვარხართ!
სხვენიდან ბედნიერების
სიცილის ხმები ისმოდა.
ბებიასა და ბაბუას
სხვენიდან ხმაური მოესმათ.
ძალიან გაუკვირდათ.
დააინტერესათ რა ხდებოდა
სხვენში. შესძახეს:

**– ჰეი! მანდ
რას აკეთებთ?**







# –ჩჩჩ!

არ წამოგცდეთ რა ხდება.
შესაძლოა მათ სიურპრიზი
მოვუმზადოთ – თქვა თარიქმა.
თარიქმა და ზეინეფმა ჩურჩულით
რაღაცა მოითფიქრეს. დედა
და მამა ბევრს ეცადნენ მათი
სიურპრიზი გაეგოთ, მაგრამ
ბავშვებმა არ უთხრეს, თუ რა
სიურპრიზს ამზადებდნენ.
ზეინეფმა უთხრა:
–თქვენც, ბებიასა და ბაბუასთან ერთად
ნახავთ.



## –რა გაეწყობა, დაველოდოთ,

სიცილით თქვეს ქალბატონმა მელექმა
და ბატონმა მეჰმეთმა.





მეორე დღეს ზეინეფმა და თარიქმა საჭირო ნივთები სხვენში აიტანეს. ეს ყველასგან შეუმჩნევლად გააკეთეს. მას შემდეგ დროის დიდ ნაწილს იქ ატარებდნენ.

ქამატონი მელექი დროდადრო ინტერესით ეკითხებოდა:

–ბავშვებო, კარგად ხართ?

## –კარგად ვართ!

–ამ მოკლე პასუხით იძვრენდნენ ბავშვები თავს.









ერთ დილას თარიქისა და ზეინეფის გასაღვიძებლად მივიდა დედა. ოთახში შესული გაოცებული დარჩა. ბავშვები არ იყვნენ თავიანთ საწოლში. ბატონი მეჰმეთიც არსად ჩანდა. ქალბატონი მელექი თავისთვის ფიქრობდა:

–დილაუთენია სად დაიკარგნენ?!

დედა, ბებია და ბაბუა ოჯახის სხვა წევრებს ეძებდნენ. გაისმოდა მათი გაძახილი:

**–თარიქ! ზეინეფ!**

**ბატონო მეჰმეთ!**

მაგრამ პასუხს არავინ იძლეოდა.









დედა ცნობისმოყვარეობას შეეპყრო.
ამ დროს ზეინეფი და თარიქი
სამალავიდან გამოვიდნენ.
ბებიასა და ბაბუას ხელები
ჩაჰკიდეს და მისაღები
ოთახისაკენ წაიყვანეს.
უფროსები ბავშვებს
სიცილით ეუბნებოდნენ:
–ეი, ცელქებო, ჩვენ
თქვენსავით ვერ დავრბივართ!
მისაღები ოთახის კართან
მივიდნენ, ბავშვებმა უთხრეს:





–თვალები კარგად დახუჭეთ,
არავითარ შემთხვევაში არ გაახილოთ.





ყველა ერთად მისაღებ ოთახში შევიდა,
მაგიდასთან რომ მივიდნენ ზეინეფმა თქვა:

–შეგიძლიათ გაახილოთ!

ბებია და ბაბუა ვერ მიხვდნენ, საით უნდა გაეხედათ. მაგიდაზე ლამაზი რვეული დაინახეს. რვეულზე ეწერა: "თქვენთვის ყველაზე ძვირფასი, ჩვენი საყვარელი გვინდოდა გვეჩუქებინა!"

ბებიასა და ბაბუას ძალიან გაუხარდათ,
–ეს რა ლამაზი საჩუქარია!





მათ აიღეს რვეული და დივანზე დასხდნენ. ოჯახის წევრები მათ გვერდით მიუსხდნენ. ბებიამ და ბაბუამ რვეული გადაშალეს. სწორედ მაშინ მიხვდნენ რომ ეს რვეული სინამდვილეში ფოტოების ალბომი იყო. ალბომის ყველა გვერდი თარიღისა და ზეინეფის გადაღებული ფოტოებით იყო სავსე. ასევე გულებით, ალბომის თავისუფალი არეები გამხმარი ყვავილებითა და ფერადი ფურცლებით მოერთოთ.



გახარებულმა მოხუცებმა ალბომი დაათვალიერეს. და-ძმამ მამას ახედეს და თქვეს:

–სიურპრიზის მომზადებაში დახმარებისთვის, მამას მადლობას ვუხდით.





ბებიასა და ბაბუას თვალები სიხარულის ცრემლებმა აუვსო. ბაბუამ თქვა:

–ბავშვებო, თქვენი ჩვენდამი სიყვარული, ამ საჩუქრით ძალიან ლამაზად გადმოეცით.

ბებია მათთვის შეევედრა:

**–ალლაჰმა, სიყვარულით სავსე ცხოვრება მოგცეთ!**

ოჯახის წევრები ერთმანეთს გადაეხვივნენ. "ერთმანეთს საჩუქრები აჩუქეთ, რათა თქვენი სიყვარული გაძლიერდეს!" ჰადისის მნიშვნელობა მისი შესრულებით ისწავლეს.








# მოდით მეგობრებო საყვარელ ადამიანებს საჩუქრად სიყვარულის ალბომი დავუმზადოთ.

**რა დაგვჭირდება?**

- რვეული, ხაზების გარეშე
- წებო
- გამხმარი ყვავილები და ფოთლები
- ფერადი ფანქრები
- მაკრატელი
- ფოტოები

თავდაპირველად შერჩეული ყვავილები (ვარდი, გვირილა, ია და სხვა) და ფოთლები სქელ წიგნში, გვერდებში მოვათავსოთ და დავულოდოთ. რამდენიმე დღეში გახმება.





ოჯახის ალბომი დავათვალიეროთ და ერთად გადაღებული ფოტოები ავარჩიოთ. სხვადასხვა ფორმის მიხედვით გამოვჭრათ ფოტოები (შესაძლებელია ფოტოების ფერადი ქსეროქსის გამოყენებაც).

უხაზებო რვეულში ფოტოები დავაწებოთ. ფოტოებს შორის დარჩენილი სივრცე გამხმარი ყვავილებითა და ფოთლებით გავაფორმოთ.





ფერადი ფანქრებით დავხატოთ და საყვარელ ადამიანებს ამ ნახატებით სიყვარული ავუხსნათ.



